საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაცია

თბილისი, დავით აღმაშენებლის №148



ფასადი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2023წ.



2008წ.



2011წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე _ გია ჭანიშვილი

ს/კ 01.13.08.001.100

შ პ ს
„ძველი უბანი“
აგვისტო
2023

ადგილმდებარეობა

წარმოდგენილია საპროექტო წინადადება, რომლითაც განსაზღვრულია **დავით აღმაშენებლის პროსპექტზე** მდგომი, არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მქონე **სამსართულიანი სახლის (მოგვიანო დაშენებით) №148** (დიდუბის რაიონი)) **მარჯვენა ფლანგის საფასადო ცვლილებები**. ნაგებობის ეს ნაწილი ეკუთვნის შპს „პსპ ფარმას“ და მარცხენა შპს „აგერსი ფარმას“.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია №148:
იქვე არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია

ყოფ. საარტილერიო სასწავლებლის შენობები _ აღმაშენებლის პროსპექტზე №№148,148;
საცხოვრებელი სახლები _ აღმაშენებლის პრ. №№149,150,151,153,157;
ობსერვატორია _ მტკვრისკენ, აღმაშენებლის პრ. №150ა;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი $№1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2021წ.



ხედი მთაწმინდიდან, 2019წ.

განაშენიანების განვითარება

ეს უბანი თბილისის განაშენიანებაში შევიდა XIX ს-ის შუა წლებში. ამავე დროიდან აქ დაიკვალა ქუჩათა მოწესრიგებული ქსელი და თანდათან დაიწყო უბნის ინტენსიური განაშენიანება (XIX ს-ის თბილისის რუკებზე ჩანს ამ უბნის ქუჩათა ქსელის განვითარება, სადაც დავით აღმაშენებლის, ყოფილი მიხეილის, შემდეგ პლეხანოვის პროსპექტი, მთავარ ღერძს წარმოადგენდა).

განაშენიანება პრაქტიკულად დასრულდა XXს-ის დასაწყისში. აქ არსებობდა ორ-სამ სართულიანი განაშენიანება, რომელიც დღეს თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია. XXს-ის 30-იანი წლებიდან შენდება 4-5 სართულიანი მოზრდილი ნაგებობები. მ. კალაშნიკოვის მიერ აგებული ხუთსართულიანი სახლი დგას საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს.



თბილისის 1867წ. გეგმა


თბილისის 1902წ. გეგმა

ქუჩას შენარჩუნებული აქვს უბნისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი ხასიათი და სტილი _ ორ-სამსართულიანი განაშენიანების მშვიდი, დაწყნარებული რიტმი ფსევდოკლასიცისტური სტილის ფასადებით. ზოგ მათგანში ჩანს მსუბუქი ეკლექტიკური მიდრეკილებებიც, ბაროკოული და მოდერნისტული ჩანართებით.

აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩარიგებულია მსგავსი არქიტექტურული სტილის მქონე ფასადებიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა პირველ სართულებს თავიდანვე წარმოადგენდა ფართო ღიობებიანი კომერციული მოცულობები _ სავაჭროები და სახელოსნოები. ამ ეკლექტიკურ არქიტექტურაში ერთი ტიპის მქონე ცოკოლის სართულები დასრულებულია ფსევდოკლასიცისტურ და ფსევდორენესანსულ ფორმებიანი ზედა სართულებით.

ჩვენთვის საინტერესო ორსართულიანი სახლი აშენდა XXს-ის დასაწყისში, მანამდე აქ 1860-იან წლებში აგებულ ფეხოსან იუნკერთა სასწავლებლის შენობათა გვერდით. შემდეგ ამ სამხედრო დაწესებულებათა ფასადები ერთიანი სტილისტიკით გაფორმდა. აქ მოქმედებდა საარტილერიო სასწავლებელი.

იქ სადაც ახლა საპროექტო ნაგებობებია, შენობის ფლანგთან არსებობდა ობსერვატორიის შესახვევი, რომელიც გაუქმდა რამდენიმე ათეული წლის წინ.

სარეაბილიტაციო ნაგებობა



ხედი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2021წ.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ორსართულიანი სახლი XIX-XX სს-თა მიჯნის თბილისის განაშენიანებისთვის დამახასიათებელი ნაგებობაა (ზედა ორი სართული XXს-ის ბოლოს არის დაშენებული). ეს იყო აგურის შეულესავი წყობის საყაზარმო შენობა, წინ სიმეტრიულად შვერილი ორი დაკბილულ ფრონტონიანი რიზალიტით. რიზალიტებში ლითონის წინფრთიანი სადარბაზოებია. მათ ზემოთ კი შეისრულ თაღოვანი სარკმლები. მრუდწრეთარგიან სარკმლების რიგებია ორთავე სართულზე. ფასადი მორთულია აგურის ლავგარდანებისა და ფრიზების დეკორაციული წყობით. ზედა ორი მოგვიანებით დამატებული სართულის ფასადები გალესილია და დაფერილია მოყავისფრო და მოყვითალო ტონებით.



ხედი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2008წ.



ხედი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2011წ.



ხედი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2023წ.

2015 წელს შესრულებულ სააღრიცხვო ბარათში აღნიშნულია რომ „აგურის კედელი გაწმენდილია საღებავისგან და აღდგა თავდაპირველი სახით“. თუმცა, დანამდვილებით ნაგებობის თავდაპირველი აუთენტური სახე არ არის ცნობილი და ვერ იქნა მოძიებული თავდაპირველი საფასადო სახის ამსახველი საარქივო ფოტო. ფასადის გადაკეთება უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ XXს-ის II ნახევარში, როდესაც ალბათ გვერდით მდგომი ყოფ. იუნკერთა სასწავლებლის სარკმლების მსგავსი ორფრთიანი ალათები გადაკეთდა ბადისებურ მართკუთხედებიანი სარკმლების ალათებით. XXს-ის ბოლოს კი, დაშენდა კიდევ ერთი სართული და მანსარდა. 2010-11 წლებში ქვედა ორი სართული გაიწმინდა საღებავისგან და პირიქით ზედა ორი სართული შეიღება სხვადასხვა ტონით. 2021 წელს გამოიცვალა ნაგებობის

მარცხენა და შუა ფლანგის სარკმლების ალათები. ამ პროექტის მასალები დაცულია თბილისის მერიის ციფრულ არქივში.

დასკვნა და რეკომენდაცია



ხედი დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან, 2008წ.



2011წ.

ჩვენს განსახილველ ნაგებობაში სამხედრო უწყება იყო განთავსებული ამჟამად კი ფარმაცევტული კომპანია „პსპ“ და „ავერსია“ დაფუძნებული.

პროექტით განსაზღვრულია საფასადე ცვლილებები ნაგებობის მარჯვენა ფლანგზე.

ნაგებობის ფასადი, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, რამდენჯერმე გადაკეთდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ამიტომ, ნაგებობის ფასადის მოწესრიგება შესაძლებელია ჩანს. სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

_ სასურველია, რომ სარკმლის ალათები იყოს ორალათიანი ზედა „ფრამუგით“ და ერთმანეთის მსგავსი რათა დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან გამოჩნდეს ნაგებობის ერთიანი საფასადო სახე;

_ სასურველია, რომ არ გაჩნდეს ზედმეტი საფასადო აქსესუარები, სარეკლამო ფირნიშები, წარწერები და სხვ. სასურველია ფასადი ორთავე ფლანგზე და ცენტრში იყოს ერთნაირი არქიტექტურული სტილისტიკის;

_ ამასთან გარკვეულწილად გასათვალისწინებელია დასაპროექტებელ ელემენტთა მხატვრულ არქიტექტურული სახის შესაბამისობა ძირითად ნაგებობასთან მიმართებით;

_ არ უნდა დაირღვეს სიმეტრიულობა, რაც დამახასიათებელია კლასიცისტური ტიპის ნაგებობებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს ფასადის ღიობთა რიტმს და დინამიკურობას;

_ ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახეცვლილება განხორციელდეს ხარისხიანად;

_ სასურველია ფოტომონტაჟის წარმოდგენა მეტი თვალსაჩინოებისათვის არსებული და საპროექტო ხედებით;

ხელოვნებათმცოდნე _ გ. ჭანიშვილი

09.08.2023

